ფანჯარასთან მივდივარ და ფარდას ვწევ. ოთახში მთვარის შუქი იჭრება, ახლა ხმაური უფრო შემზარავია, თითქოს მხეცი ღრიალებს; გაკეთებული მდინარე პირიდან ღრბალებს ყრის და ქაფი მთვარის შუქზე თეთრად ელვარებს. კარგად ყოფილა ჩვენი საქმე! აქ რა დავგაძინებ! ვწევები და თავზე საბანს ვიფარებ.


მეორე დღეს სამშობისას ძლივს ვადგები: თუ ასე გაგრძელდა, როგორ ვიმუშავებთ, ნუთუ ეს არის აკლი-მარტაცია?

ნანული ამდგარა და გასულა. მეც ვდგები და გავდივარ. ვხედავ, მეორე ოთახში აცვნიდან ბავშვი ამოჰყავს: „დულა“ შეიღობა. არ უტირია, მაგრამ ძილში სუსტი ეყენსა შემომესმა. ხედავ, სულ ჩასვრილა საბარლო. აივანზე კარში მზეზე გამბზარა წყალია და შემოიტანე, დაგბნობო?

ბავშვის მოვლა არ ვიცი, მხოლოდ ვეხმარები. ნანული გაქათათებულ გოგონას ამშრალებს და უკან აღარ აწევს, ეკატელა დღეიდან აცვნი ჩაქრული ბავშვი, ლოთი დატარებს, უფლებს.

საღამოს საავადმყოფოს მთავარ ექიმთან ლუბა ნიკარაძესთან მივდივართ. მოვიხიბლეთ ამ ქალბატონის ხილვით. მასში ყველაფერი საუკეთესო თანაბრად შეწყვეტილი: სილამაზე, ქუთა, განათლება... ის და ნანული დიდხანს სუბრობენ, მე კი დედამისთან გავდივარ სამზაოში და გარდაცვლილ ქმარზე მოგონებებს ვისმენ.

მეორე დღეს დილიდან რუსი აგრონომი ქალის სტუმრები ვართ. დიდი ხანია ცხოვრობს სვანეთში და ქართულად ლაპარაკობს. მისი გამოყვანილი ყინვაგამძლე



ოქტომბრის მარტა აზარაზილი

ხილი სიმწიფეშია შესული — მსხლეები, გაშლები, ქლი-
ავები... „ხიდან თქვენი თითონ მოწყვეტილი და იგემით“, —
გვეტყვიან მასპინძელი და დაწვრილებით გვიამბობს
თავისი ცხოვრების შესახებ.

შუალღეს სატვიტო მანქანით მივემგზავრებით სოფელ
იელში, სადაც კოლმურწუნების თავმჯდომარე ქალია.
რა ლამაზი სახელი აქვს სოფელს! ალბათ, იელები ჰყვან-
ისი.

მეორე ღღეს უფრო შორს წასვლა გადაწყვიტეთ.
იცით, რომ უიწილეთ „ოთხთაი“ სოფელ აღმშლად-
ნაა, თანაც იქაური ტაძრის საინტერესო მონატულობას-
აც გნახავთ.

გახარებული ვითარებით მანქანის ძარაზე, არაფ-
რად ვავდებით ხვრელებს, ვეხეთქებით ერთმანეთს და
ვიცინით. გზა ხან ვიწროვდება და ტყეში იყარება, ხან
ტრიალი მინდორზე გადივართ. მერე უეცრად შავი ღრუ-
ბლები წამოგვეგზავნა და წვიმაშიც გაიწეწეწეთ. სულაც
არ გვიდნა გზის დასრულება, სულ მაღლა და მაღლა ვი-
წვით: გვეკოლი, ცას ხელით შევწვდებით და თავი ღმერ-
თების საუფლოში წარმოვიდგენია. ალაგ-ალაგ ფერ-
დობზე, უმწიფო ადგილებში თვლია შემოჩენილი. პაე-
რია ცივი, ძალიან კამკამა და მათრობელი.

და აი, აღმოჩნდა! 2 ათას მეტრზე ვართ ზღვის დონიდან.
სოფლის თავაკაცება დაგვიხახეს და შეცბენ: ჩვენ ქურ-
ნალისტებს ველოდით, ესენი ბავშვები ყოფილანო. მერე
საქცილწამხდრებმა გაოცება მოიშორეს, სოფელი მოგ-
ვტარეს, ხალხი გავაცანეს, კარგიც გვითარეს და ავიც-
დაწვით. მერე ყურადღება გვეკრძებო.

მზე მთის წვერს ეთხოვებოდა, რომ გამოემგზავრეთ.
მესტრში ღამე ჩამოვედით.

...სწავითი იმ იმედით დაეტოვეთ, რომ ყოველ წელი-
წადს ეწვეოდით. განა შეიძლება ადამიანმა ის სიამო-
ვნება მოიკლია, რასაც აქაური ბუნება და ხალხი გავრ-
ძობინებს? გეზი პლასტუნისკენ ავიდეთ, სოჭიდან რა-
მოვლენით კილომეტრზე მდებარე ქართველების სოფ-
ლისკენ.

შეგდვართ სოფელში და ველეაფთ. როგორ მიგვი-
ღებენ, რას გვეტყვიან?

ბინდებო. შორიდან დოლა-გარმონის ხმა ისმის, ღია
კარებში ვიხედებით — ქართული ბიჭები მხედრულს
ცაყვები. ზოგნი გვამჩნევენ, ესხდებით, ცრემლები
გვერევა.

სოფლის თავაკაცის ვანი უჩაძის სახლთან რომ მიგვა-

ციოეს, პირველად მისი 90 წლის დედა შემოგვეგება.
ლაშაბი გარეგნობა შემოჩენია რაველ ქალბატონს.
წელმართებით სიარული და ლაზათიანი მიგრან-მოხე-
რაც ამშვენებს. ახსოვს ბებია მაკრინეს, როგორ გამოე-
გზავრა მაღალმთიანი ღარიბი რაჭიდან პირველი ურეთი
უკეთესი სამოსახლის და სახანავ-სათვისი საქმენალად.
სხვა ურემებიც დაიძრა აუცილებელი ნივთებითა და ხალ-
ხით დატვირთული. ბევრი გაუჩრებდა გამოიარეს გზაში
და პლასტუნაში შეჩერდნენ. მაშინ ეს მიწები საქართ-
ველოსი იყო. მხოლოდ ბედის უქუდმართობით აღმოჩნ-
დნენ შემდეგ რუსეთის მიწაზე.

თითქმის გავათენეთ კოლმურწუნების თავმჯდომარის
ოჯახში. შუაეცხლზე ღობი თუხთუხებდა, შამფურზე
გოჭი იწვევოდა. ბებია მაკრინე კი ღრმის დასახლისო-
ბით იწონებდა თავს და კალამდმომარევებულ ნაწილს
შუალამდე უყუებოდა, როგორ მოითქვს სული რამ-
დენიმე წელიწადში, როგორ აირჩია თანახმადლეგმა
მისი გაცი კოლმურწუნების თავმჯდომარედ.

ღილით ვანი უჩაძე ბალ-გენახები, სიმინდის ყანები,
ჩაის პლანტაციები, ფერმები მოგვატარა. მართლა შე-
ქმლით თავის მოწონება არნახულ ვაშლის ბაღებით.
ნაწილ ალტაცებას ვერ ფარავდა — ასეთი ვაშლები
ჯერ არ მინახავს, მათ სახელს იმასოვებდა და მო-
საწყვეტად ვერ იმეტებდა. აქ ერთად მოიყარა თავი
მსოფლის საუკეთესო ჩინებს. ლოყაერთული ვაშლები
მზეთუნახავი ქალბები იმხრობდნენ ტრეტოდან, არ
გავფვიდა უარი, აბა, მეტი რა გავატანოთ და გულუხვმა
მასპინძლებმა ბაღებები საოცარი ფერის ნაყოფით აგ-
ვივსეს.

მერე ჩვენი არ დაგვიშლეთ, დარჩენა გვთხოვეს და ვე-
ლარ დავრბით, ავიბარგეთ და ღამის 12 საათზე სოჭის
პორტში, „როსიაზე“ ამოვყავით თავი. გვემანადე მიგ-
ვაციოეს მასპინძლებმა, ხელს გვიტყვენდნენ, სანამ ნაპირს
კარგად არ დავშორდით.

ღილის 6 საათზე მზე სოხუმში შეგვეგება და ქართუ-
ლი ქალაქის სურნელება გავგრძნობინა. მარცხე ბარათა-
შვილის ავარჯიშე ერთი ღამე გავათითე: ავესტო ქათამი
დებოდა. დასმენებლად მისი ვერ ელოდნენ ქალაქს
და ქუჩები პირთაღად აეცსოთ. ჩვენ კი მრავალღიანი
მივლინების შემდეგ თბილისში გამოვემგზავრეთ.

ლია პაპაზაძე

საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

სიანძლე



სომ მაქვს უფლება, ზნაძელა განვახადო, რომ მსახიობთაგან გამოჩენულად მარი ჯანაშია მიყვარს, რომ ის „ჩემი“ მსახიობია.

უთხარი კიდევ მას ეს. ლამაზი უბრალოებით გადამხიდა მადლობა.

მიღვაწეობს რუსთაველის სახელობის თეატრში, თუმცა მარჯანიშვილის თეატრშიც საკმაოდ აქვს ნათამაშები. მისი როლების ჩამოთვლას არ შევეუდგები (ძალზე დიდ ადგილს დაიკავებს), მხოლოდ მისთვის გამოჩენულს დავისახელებუი. პირველი როლი პირველ კურსზე — ჟან ანუის „ანტიგონეში“. თამაშობდა პაეს, პარტნიორობას უწევდა სერგო ზაქარიაძესა და ზინა კვერენხილაძეს; ფულიებზე — „რომიო და ფულიეტაში“, ქეთევან ანატოლი — „ქალის ტვირთში“; სიღონია — ტელეკომპეტაკლი „თეთრი კრდელი“... ბოლო როლი — სულდის „წლიწლიწლი ერთხელ“. აქ მაქვს და დათო კვირცხლაძეა ზუსტად 20 წლის შემდეგ (თამაშობდნენ „რომიო და ფულიეტაში“) კვლავ ერთად ითანაშვენ.

გვასსოვს მისი ძალზედ დახვეწილი ნათამაშები ფილმებიდანაც...

უკვე მესამე წელია, როლზე არ მიუწვევიათ. სამაგიეროდ (!) ახმოვანებს ტელესერიალების კეთილ გმირებს და მისი ლამაზი, მკერდისმიერი ზმის ტემბრი დაღებით ემოციუბით ვგმუზტავს...

ჰო, მისთვის, საყვარელი როლი კიდევ მარტივია „ბერნარდა ალბას სახლიდან“ — პრემიერის შემდეგ მარი ჯანაშიასთან მივიდა აღფრთოვანებული თემურ გოცაძე (ცნობილი მხატვარი) და უთხრა: „თქვენ ჩემთვის აღმოჩენა ზარით... და როცა სამი წლის მერე კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს (ამჟამად საშუალოდ), ბატონმა თქვამს შეახსენა ის შეხვედრა და სიტყვები, მას კი საერთოდ არ ახსოვდა, ისე იყო მაშინ თავბრუსხვეული მღელვარებისაგან და მაყურებლის ემოციებისაგან... „და ძალიანაც მეყვინა, რომ არ მახსოვდა, ვანა შეიძლება, ასე ლამაზი წუთები დამეცნებოდეს“, — მეტყვევს მერე სიხანულოთ. ვათავსებდი ძველებურ, მუყაროსვერდებიან ალბომს. საკულდაგულოდაა ჩაწყობული მარის ბავშვობის სურათები, ყველა მათგანში ძალზე არტისტულად გამოიყურება გამხდარი, საოცრად მეტყველთვალვებიანი გოგონა.

„მამა მიღებდა სურათებს. მიყვარდა პოზის მიღება, ჩემებურად ვიღამაშობდი. ეტყობა, ქვეყნულად მსახიობობა მსურდა, თუმცა ოჯახში ამაზე არასოდეს ყოფილა საუბარი.

კარგად ვსწავლობდი. განსაკუთრებით მიყვარდა ლიტერატურა მაშის ზეგავლენით. ამიტომ ძალიან გავგიზარდა ოჯახში, როცა უნივერსიტეტში ჰუმანიტარული სწავლების კურსები გაიხსნა და მეც იმ კურსებისთვის საგანგებოდ შეჩვენულ ბავშვთა სიაში აღმოვჩნდი. თქვენ წარმოიდგინეთ, მველ ბერძნულსაც გვასწავლიდნენ. ძალიან მომწონდა თავი, „ოდისეადან“ და „ილიადადან“ ზეპირად რომ წარმოეთქვამდი ნაწყვეტებს... გვასწავლიდნენ შესანიშნავი პედაგოგები: რისმაც გორდუხიანი, ლევან მენაბდე, ვახუშტი კოტეტიშვილი... როგორი მაღლობელი ვარ მათი. იმდენი რამ შემძინეს. მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, რომ ფილოლოგი გავხდარიყავი, მაგრამ... რაც ბედის მწერალს დაუწერია, ზომიცი... გამწარებული ვეშაბეობი უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად. ერთხელაც ასე... დადლილმა, მეგობართან ერთად ჩავისიერე კინოსტუდიის წინ. ერთმა უცნობმა ძალიან ვუთხარი, რომ კინოსტუდიამ შევეყოლოდი. ასე აღმოვჩნდი ბატონ რეზო ჩხეიძესთან. მაშინ „დიმიტის ბიჭებს“ იყვნენ. ბატონი რეზო გამესაუბრა და მირჩია, რომ თუ მსახიობობას ავირჩევდი, ამით ჩემი ცხოვრების ნამდვილ გზას ვიპოვიდი...

მას მერე სულ ვეკითხები ჩემს თავს, ვანსაკუთრებით ახლა, სწორედ მოვეყევი კი? — ზანდახან მონია, რომ არა, მაგრამ ეს ძალზე იშვიათად ხდება, როცა ძალიან მიჭირს ხოლმე — მაშინ...

როგორ დამავიწყდება, ფეხბა-ფუცხით, არტოს ბაღში სახელდახელოდ გადაღებული სველი ინსტაბილური რომ შევიტანე საბუთები თეატრალურ ინსტიტუტში — მეორე დღეს გამოცდები იწყებოდა... შინ არაფერი მიიქცამს. იმ დამსველ ვთარგმნე ნატამას მონოლოგი „იმი და მშვიდობიდან“ და დავაზეპირე.

თქვენ წარმოიდგინეთ, ჩავირიცხე და — მომეცლებულია ვიტყვი — ჩავისუნთქე თეატრის მტვერი და დავავადდი.

თეატრმა თავი მაპოვინა, ძალა და რწმენა მომიცა, თორემ ისეთი მორცხე ვიყავი... ძალიან არ მომწონდა საკუთარი თავი — განხიკული (დადილი და ძვლებს დაეჩხარუნებდი), შავი... მისაღები გამოცდებისთვის საგულდაგულოდ მზარნაგდნენ მეზობლის გოგონები, ფერომარული მთხანინიდან. შინიერი დამაკოსეს (მაშინ მოდაში იყო მაღალი ვარცხნილობა), და ასე — ვითომ ამაყად მივიდოდი. ალბათ ძალზე სასაცილო ვიყავი“.

კალბატობ მარის ენებზე. ძალზე სასაიფოვოა მისი მოსმენა, საუბრობს ძალდაუტანებლად. თუმცა თავიდან მიზნარა, რომ არ უყვარს პირადულის — რეთ გამოფენა, რომ სიტყვაუნწია, მაგრამ ხანდახან გულუხადილიცაა, რატომღაც ახლაც — საზეინეროდ...

„თემომ მიმარჩია გულახდილობა“... დავინტერესდ, თუ როგორ გვეუბოდა ორი ხელოვანი, ორი ურთულესი პიროვნისი მქონე ადამიანი ერთად ცხოვრობდას.

„გაკრება სართულები თავიდან, თითქმის 5 წელი. ამის თქმის ამ მერდება და ამ გადასახედიდან ის სართულები ძალიან მიყვარს.

ძალიან ზნირად ხელოვან წყვილებს ერთმანეთისათვის უპირატესობის დამტკიცება სურთ. ჩემი თემის სიბრძნე, ძალიან ზნაძელაი ნათქვამია — ჭკუა დავარ-



2 11 18



● მარი ჯანაშია, თემურ გოცაძე



● „ივრადიკი“. ირფოხი — შერა ნინიძე, ევრადიკე — მარი ჯანაშია. რეჟისორი ქეთი დოლიძე

ქვათ, ასე გამოიხატებოდა: ერთმანეთს არასოდეს ვეჯდებოდით.

ჩვენი სირთულე ხასიათების სხვადასხვაობაში მქდვენდებოდა, უპირატესად მაღლიზიანება მისი ჯაჯლანი, უეცარი აფეთქება... მაშინვემისაგან მიჩვეული ვიყავი მშვიდ ურთიერთობას. არასოდეს უთქვამს ხმაიმალალი სიტყვაკ კი. თქვენ წარმოიდგინეთ, ბავშვობაში მე და ჩემ დასაკ არასოდეს გვიჩხუბია (ხუთი წლით ვარ მასზე უფროსი) და სუცხ — ასეთი სხვაობა.

და მერე, როცა შეეძელი ნამდვილი თემოს დანახვა, ვეუღლაფერმა ამაწ მეორე პლანზე გადაიწია — მიგზვდი, რომ ამ ჯაჯლანის უკან უზარმაზარი სიკეთე იმაღლებოდა — არ შემინია ამის თქმის. მე თემომ მომდრიკა, უფრო სწორედ, საამოენებით დაუუთმე.

თემო ძალზე კეთილია. მალე ბრახდება. მაგრამ მეორე წუთში აღარაფერი ახსოვს. მე პირიქით ვიყავი — თუ გაეზრახდებოდი, ოო, მართლა გაეზრახდებოდი და მან ხასიათი რაღაცნაირად გამოიხსწორა. დილით რომ გაენაწვენდები, მერე ვფიქრობ, არ დამავიწყდეს, რომ გაზრახებული ვარ, და არ დამავიწყდეს-მეთქი, საღამოს, როცა მოვლენ, ააა — გამიზარდება საშინლად და მერე მახსენდება — მე ხომ გაზრახებული ვიყავი!...

მარი ჯანაშიას და თემურ გოცაძეს ჰყავთ სამი შვილი...

„ისე, ჩვენი ოჯახი სახელების მხრივ ძალზე უნიჭოლ გამოიყურება, ვართ ორი მარი, ორი თემო, ორი ბექა... მარი ჩვენი შვილიშვილია, თემიკო — ჩვენი უმცროსი საერთო შვილი, ბექა და ბექა — უფროსი ვაჟები. სხვათა შორის ჩვენი ბებია ნანა ზუსტევაძე — უკვე ცნობილი მსახიობი.

მე ვკითხე ქალბატონ მარის: თქვენი ცნობილი პორტრეტები — წითელ ფონზე შავი სამოსით, გულის ადგილზე მკვეთრად ამოჭრილი სიციარელით — რატომ დაგზატათ ბატონმა თემომ ასე?

„ეს მაშინ დამხატა სწორედ მარტირის როცა ვთამაშობდი. არა, იქ სიციარელე არ არის, იქ სინათლეა, სინათლე გულში. ძალიან მიყვარდა. სამწუნაროდ მოგეპარეს. ძალზე ბევრი ნახატი დაგვეკარგა, დაიწვა თემოს საუკეთესო ნამუშევრები — როცა დაიწვა მხატვრის სახლი. მაშინ ბევრი მხატვრის ნამუშევარი ჩაიფერფლა...“

იციო, ვგელა იმ ქარტეზილმა, რაც ამ ბოლო დროს მოხდა, ჩვენს ზურგზე გადართა. 9 აპრილი ხომ... რამდენი ადამიანი გადარჩენილი თემოსა და მისი თანამშრომლების მიერ... ისე ფოთ გაოგნებული მომხდართი, რომ ეს ბოზოქარი კაცი მთელი თვე სახლში იყო ჩაკეტილი.

ოპ, ტკივილია ბევრი...”

● ● ●

გადავდივართ სხვა თემაზე, მსუბუქზე, ქალურზე...

— როგორ ახერხებთ, ქალბატონი მარი, ყოველთვის ახალგაზრდულად და მოწოდნილად რომ გამოიყურებით?

„რა ეცი, რა ვითხრათ... ისე კი, რამდენი ხანია ახალ არაფერი შემიძენია? ყველგან, ძველის გაახლებას. გაუკვირდება ხოლმე თემოს, ეს როდის იყიდე? — რა, თემო, ვერ მიხვდი, ეს რომ იმ წელს... — ვეტყვი თავმოწონედ.

მაგიაჟს იშვიათად ვიკეთებ, ისიც მსუბუქად. სარკისში აურთაბ არ მივიყარს. მხოლოდ მაშინ. როცა თამაშისთვის ვემზადები. ეს პროცესი სიამოვნებას მანიჭებს. მიადვილებს როლში შესვლას. ამ დროს მავიწყდება ვგელა საზრუნავი.

ოო, როგორ მომეჩატრა სკინაზე თამაში, ნამდილი თამაში. კარგი სახასიათო რეჟის თამაში...”

ვიმშვიდობები ქალბატონ მარის ღა მომეცება მისეგან სიკეთის შუკი. ალბათ ამის გამოისახვა სურდა ბატონ თემოს იმ ცნობილ პორტრეტში.

მანანა ჯარიძე


საქართველოს
მემკვიდრეობის
მინისტრის
გამგზავნი

სარძევე ჯირკვლის დაავადება პირველ აღბილზეა მსოფლიოში, ჩვენშიას

ამ პროგნოზზე მუშაობს ი. შორაიას სახ.
ინსტიტუტის მედიკოსი განყოფილება.

სარძევე ჯირკვლების დაავადებები გავრცელების მიხედვით მსოფლიოში ერთ-ერთი პირველ ადგილზეა. სამწუხაროდ, ამ მხრივ საქართველოც ერთ-ერთი ლიდერია.

სარძევე ჯირკვლების დაავადებები შეიძლება იყოს კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი. კეთილთვისებიანი დაავადებები დაკავშირებულია ქალის ორგანიზმში ნერვულ-ჰორმონალური მექანიზმის მოქმედების დარღვევასთან და „დისჰორმონალური დისპლაზიები“ ეწოდება; მათი უფრო გავრცელებული სახეწოდება „მასტოპათია“.



მასტოპათიები განსხვავდება თავისი ნიშნებით, წარმოშობით და განვითარების თავისებურებებით, მაგრამ ყველა შემთხვევაში პაციენტები ერთ ან ორივე ჯირკვალში ტკივილს უჩივიან, რაც ვრცელდება მხრის, ბეჭის ან ხელის არეში. ქალებს მასტოპათიის შემთხვევაში ხშირად აღენიშნებათ სარძევე ჯირკვლის საგრძნობი შეტეხილობა და ტკივილის გაძლიერება მენსტრუაციის წინა პერიოდში.

მასტოპათიები ხშირია 30-45 წლის ასაკის ქალებში, ეს სინდრომ პოპულაციებში 30-40 პროცენტს, ხოლო

სხვადასხვა გინეკოლოგიური დაავადებების მქონე ქალებში — 55 პროცენტს აღწევს.

ქალის სასქესო სისტემა და სარძევე ჯირკვლები ერთიანი რეპროდუქციული მთლიანობაა. ფუნქციონალური კავშირი განსაკუთრებით მკვეთრად ვლინდება სხვადასხვა პათოლოგიების შემთხვევაში.

სარძევე ჯირკვლების სტრუქტურა და ფუნქცია იცვლება ქალის ფიზიოლოგიური მდგომარეობის მიხედვით: მენსტრუალური ციკლისას, ორსულობისას, მშობიარობის შემდეგ, ბავშვის რძით კვების დროს, კლიმაქტერულ პერიოდში და სიბერის ხანაში. საფურადღებოა აბორტებისა და მშობიარობების რაოდენობაც.

მენსტრუალური ციკლის წინ სარძევე ჯირკვლების გადიდება აიხსნება წილაკებს შორის არსებული შემაერთებელი ქსოვილის მოშუპებით, რამაც შეიძლება ტკივილის შეგრძნება გამოიწვიოს.

ორსულობის დროს სარძევე ჯირკვლი ემზადება ბავშვის რძით კვებისათვის. ჯირკვლიანი წილაკები მკვეთრად იზრდება და მრავლდება. სარძევე ჯირკვლის სადინარები და ალვეოლები უმაღლეს განვითარებას აღწევენ.

ნადრევი მშობიარობის ან აბორტის დროს, სარძევე ჯირკვლების უკუგანვითარების პროცესი მკვეთრად ირღვევა. სწორედ ეს შეიძლება იყოს სარძევე ჯირკვლების ჰორმონალური და სხვა პათოლოგიური ცვლილებების მიზეზი.

ჰორმონალურ ცვლილებებს იწვევს შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების მიერ გამოთუშავებული სეკრეტის მოქმედება, რომელიც ნორმალურ პირობებში გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს სარძევე ჯირკვლის ფუნქციაზე და განვითარებაზე. მათი ფუნქციის დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს სარძევე ჯირკვლების მთელი რიგი დაავადებები, რადგანაც ისინი წარმოადგენს ჰორმონების მოქმედების ორგანო-სამიზნეს.

ენდოკრინულ ჯირკვლების შორის ორგანიზმისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს თავის ტიპის დანამატს (პიოფიზს). სასქესო ჯირკვლის (ქალებში საკვერცხებს), თირკმელზედა ჯირკვლების ქერქოვან ნაწილს და ფარისებრ ჯირკვალს. მათი მოქმედება რეგულირდება თავის ტიპის ნაწილით — პიოთალამუსით, მათი მოქმედების დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს ცვლილებები სარძევე ჯირკვლებშიც.

ცნობილია, რომ ზოგ შემთხვევაში ხდება სარძევე ჯირკვლების კეთილთვისებიანი დაავადებების, მასტოპათიების“ ათვისებაზე და დადგენილება (მედიკანოზაცია). ამიტომ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათ დროულ გამოვლინებას, პროფილაქტიკას და მკურნალობას.

როგორც წესი, ყველა ქალმა 25 წლის ასაკიდან წელიწადში ერთხელ პროფილაქტიკური თვალსაზრისით უნდა ჩაიტაროს სარძევე ჯირკვლების შემოწმება. აუცილებელია ქალების მიერ სათანადო წესების დაცვით სარძევე ჯირკვლების რეგულარული თვითდასინჯვა, სარძევე ჯირკვლებში წარმოქმნილი უმნიშვნელო ცვლილებებისადმი ყურადღების მიქცევა და დროული ვიზიტი სპეციალისტთან. ეს ყველაფერი თავიდან აკავაცილებს სარძევე ჯირკვლების სერიოზულ დაავადებებს.

სარძევე ჯირკვლების პროფილაქტიკური გასინჯვისათვის ყველაზე სასურველი დროა მენსტრუაციის დამთავრების შემდგომი პერიოდი, ხოლო მათ, ვისაც აღარა აქვს მენსტრუაცია, უნდა ამოირჩიონ ყველა თვეში ერთი და იგივე რიცხვი.

სარძევე ჯირკვლების დროული და სწორი გამოკვლევა უმეტეს შემთხვევაში განაპირობებს როგორც კიბოს წინა დაავადებების, ასევე სარძევე ჯირკვლების კიბოს ზუსტ და დროულ დიაგნოსტიკას, მის თავიდან აცილებას ან ეფექტურ მკურნალობას.

სარძევე ჯირკვლების დისპორმონალური დაავადებების გამოწვევ მიაზეხებად შეიძლება ჩაითვალოს: მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ხშირი აბორტები (როგორც თვითნებური, ასევე ხელისუფლებით), ქალის სასქესო ორგანოების სხვადასხვა დაავადება, უშვილობა, ფარისებური ჯირკვლის, თირკმელზედა ჯირკვლის ქერქოვანი ნაწილის, ღვიძლისა და ინფექციური დაავადებები, ინტოქსიკაციები, ავტოაბორტი, ფსიქიური და ნერვული მოშლილობები, არასასურველი კლიმატური და სხვა პირობები. ასეთ შემთხვევებში საჭიროა ზუსტი დიაგნოზის დასმა კლინიკური სურათის, ანამნეზის, სარძევე ჯირკვლების ხელთი გასინჯვის და გამოკვლევის სპეციალური მეთოდების გამოყენებით.

სარძევე ჯირკვლების დაავადებების დიაგნოზის სიზუსტისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთი სპეციალური კვლევითი მეთოდების გამოყენებას, როგორიცაა: სარძევე ჯირკვლების მამოგრაფია, თერმოგრაფია, ექოსკენირება და პუნქციური ბიოფსია. ეს ყველაფერი სასურველია ჩატარდეს მენსტრუალური ციკლის პირველ ფაზაში.

დიფუზური მასტოპათიების, როგორც ძირითადი ასევე გამოწვევი მიზეზების მოსაწესრიგებლად საჭიროა კომპლექსური მკურნალობა. სწორედ ამ პირობებზე მუშაობს ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „მათილინი“ განყოფილება, სადაც ხდება როგორც სარძევე ჯირკვლების მდგომარეობის გამოკვლევა სპეციალური მეთოდებით: (მამოგრაფია, თერმოგრაფია ექოსკენირება, პუნქციური ბიოფსია და სხვა). ასევე მათი პათოლოგიის გამოწვევი მიზეზების (პრომონალური დარღვევების) დადგენა და მკურნალობა.

რეზა ზ. ციციშვილი,

ი. ჟორდანიას სახ. ადამიანის რეპროდუქციის სკ ინსტიტუტის მათილინის განყოფილების ხელმძღვანელი, მედ. მეცნ. კანდიდატი.

მანანა ჩანტლაძე,

ამავე განყოფილების ექიმი.



გვიროხალ მიმართა

75 წლის იუბილეს გულოცავ ჟურნალ „საქართველოს ქალს“, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ახალგაზრდა ქართველი მწერალი ქალების სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლაში. ჟურნალში იბეჭდებოდა მათი მხატვრული ნაწარმოებები, პოპულარული სამეცნიერო ნაშრომები, იგი პოპულარიზაციას უწევდა საზოგადო მოღვაწე ქალებს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჟურნალის როლი ახალგაზრდა თაობის ეროვნული სულისკვეთებით აღზრდის დიდ პატრიოტულ საქმეში. მასში ხშირად ქვეყნდებოდა ნარკვევები გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებზე (არა მხოლოდ ქალებზე), სისტემატურად იბეჭდებოდა სტატიები საქართველოს ისტორიიდან. მაშინ ეს ადვილი გასაკეთებელი არ იყო, არსებობდა საშიშროება ჟურნალისათვის წარსულის იდეალიზაცია და ნაციონალიზმი დაებრკვლებინათ, მაგრამ ჟურნალის მესვეურნი ამ რისკზე მიიღიდნენ. ასეთი სტატიები ხელს უწყობდა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას.

ყოველივეს დიდი სიამოვნებით ვიხსენებ ჟურნალის რედაქტორებთან და სარედაქციო კოლეგიის წევრებთან შეხვედრებს.

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქტორის და ყველა თანამშრომლის დიდ გმირობად მიმაჩნია, რომ შესძლეს ჟურნალის შენარჩუნება, მისი დაცვა იმ საზიზიელ წლებში, როდესაც ყველაფერს ანგრევდნენ და აწადგურებდნენ.

ვუსურვებ ქალთა ჟურნალს ახალ წარმატებებს, მკითხველთა ფართო წრეს.

მარიამ ლორთქიფანიძე

გზადი თუ არ დავად... არ დავად...

ნუნუ დუღაშვილის შემოქმედება პართულ
ანგის და მამულის სივარულითაა
გაჯანჯალული. მისი სიმღერები პართულია
პართულ ლეხაშვილი და მამულის. მისი სიმღერები
მამულის, სივარულითაა გაჯანჯალული მამულის
მამულის. მისი სიმღერები უდიდესი სიმღერებით
მღერის და უმადესი.
ახლავე ან ნუნუ აბაი პართული
პართული ლეხაშვილი გახდა და მამულის
რადენი დაჯილდოვდა.



ნუნუ დუღაშვილი

ს ანტერესო წარმოშობისაა დუღაშვილების გვარი. მამას, შავსოვლს, შიშის სინდრომი ისე ჰქონდა სულში ჩაბუდებული, თავს არიდებდა გენეალოგიაზე საუბარს. ახალგაზრდა ბიჭს ორი კერძო სასტუმრო ჰქონდა რუსეთში. თუ სადმე მდიდრული ნივთები შეგზავნიდნენ ციხელებით ი. დ. (იროდონ დუღაშვილი), იცოდნენ, თქვენიაო, — ეუბნებოდნენ შვილებს. მათი წინაპრები სასულიერო გვარისა იყვნენ და დუღაშვილებად იწოდებოდნენ. დუღა ჯანდერი, კახეთის ქორეპისკოპოსი, თელავიდან უბატონო ქიზიბეში გადასულა, სადაც ერეკლე მეფის მეტი არავინ სწამდათ. მოგვიანებით მათი გვარი დუღაშვილად დამკვიდრდა. მამამ საეკლესიო ცხოვრებაზე უარი თქვა, მაგრამ, დღენიადაგ მოძღვრავდა შვილებს — იცოდნენ, არაფერი დააშავით, ღმერთი გზავდავით. პატარა ნუნუ ალავერდში მოუნათლავთ ნორა ბაგრატიონის და კახელ ქალებს.

...ქიზიბის, როგორც თავისუფლებისმოყვარე კუთხის ყველა საეკლესიო თვისების მატარებელია ქალბატონი ნუნუც.

...დამათვრა ნიჭიერია მუსიკალური ათწლადი და თბილისის კონსერვატორია, საკომპოზიციო განხრით, ანდრია ბალანჩიშვილის კლასი. მუსიკას ყოველთვის ცნობილი პედაგოგები ასწავლიდნენ და ნუნუც მთელი არსებით მუსიკას მიეცა.

ნუნუს ვაჟი, გიორგი გურგენიძე კინოლოკუმენტალისტი, მამის ჯვალს გაჰყვა. ნუნუ ადრე დაშორდა მეუღლეს. არ უყვარს მასზე აუფის თქმა, ის საინტერესო განათლებული პიროვნებაა, მაგრამ ზღბა ზოლზე — ვერ გაუგებს ერთმანეთს.

ნუნუ დუღაშვილის, როგორც კომპოზიტორის ნათლობა, ჩუბოსლოვაიის ჯანგაშვიტობით გახლდათ, რომელსაც ელა ფიცჯარალი ხელმძღვანელობდა. ნუნუ იყო პირველი საბჭოთა კომპოზიტორი, რომელმაც საბჭოთალორად ჯაზისთვის დაწერა მუსიკა ინოლა გურგულაძის ტექსტზე, გიულა ჩოხელმა შეასრულა. სიმღერამ პრემია და მომ-

ღერადა ოქროს მედალი აიღო, მწარედ გააკრიტიკა პრესამ, როგორ თუ ჯაზური მუსიკა დაწერა ღმერთმა ქართველმა კომპოზიტორმაო. ამან ბიძგი მისცა შეექმნა ეროვნული ხასიათის მუსიკა და შექმნა კიდევ მშვენიერი ღირსეული „ქუთაისო, ქუთაისო, შენთან არის გული ჩემი“ და ოპონენტებს დამტკიცა თავისი მრავალმხრივობა. ლექსის დასაწყისი რეფრენი ნუნუსაა, რაზეც ლექსის ავტორი — დავით კვიციანი, უფრომართ დათანხმდა. ეს კომპოზიტორის აზიერება არ გეგონოთ, მას ზნორად უხდება პოეტებთან შეთანხმებით ლექსის „სათავისოდ“ შესწორება. ამ სიმღერამ დაამწვენა დოკუმენტალისტ შალვა ჩაგუნავას ფილმი „რიონის ხეობა“.

ნუნუ ბავშვობიდან მოზიზღული იყო იოსებ ნონეშვილის ლექსით „კახეთო, ჩემო კახეთო“, ხელის ერთი მოსმით ასეთი შედეგები არ იქმნება. იოსების შემოქმედება ნუნუს ბიოგრაფიის განუყოფელი ნაწილია. პოეტი მის მეზობლად ცხოვრობდა, ბავშვებს შეკრებდა, უკითხავდა თავის ლექსებს, იქნებ იმიტომაცაა პოეტის ბევრი ლექსი კომპოზიტორისათვის ადვილად აღსაქმელი და დასაწერი... სიმღერად „კახეთზე“ დიდი აღიარება მოუტანა, ბევრი ბედნიერი წუთი განცდივინა. სიმღერა პირველად ბატონი იოსების თბილისზე თავად ნუნუს შესრულებით მიმსიინეს, წლის საუკეთესო სიმღერად აღიარეს და მას შემდეგ საკონცერტო რეპერტუარიშა.

— ქ-ნო ნუნუ, კანდიდატი ჩემი ჩამომართმევთ, თუ გეტყვით, რომ ეს სიმღერა ქართულ ჰიმნს უფრო წააგავს.

— თქვენ პირველი არ ხართ, ვინც ამას ამბობს. ეს სიმღერა ალბათ კახელს უნდა დაეწერა. იოსებმა საუკეთესო ღმერთის დაწერა ლექსის ახალი ვარიანტი, დაიწერა ისე, როგორც მისაზიერა და ჩამესიშა მელიქია. ასევე ჩემს თვალწინ დამიწერა „ღმერთი სიყვარულისა“. რომელსაც „ცისფერი ტრიტი“ ასრულებს და თან მთხრავს: ეს უნდა იყოს სიყვარულის ჰიმნიო. მართლაც და „გულთით თუ არ იწამე“, არც სიმღერა გამოვა და ალბათ არც ლექსი დაიწერება.



ნუნუ ვატიშვილი და მშობლებთან

...კომპოზიტორს კინოფილმებისთვისაც ბევრი სიმღერა აქვს დაწერილი. „ფიროსმანის ქალაქი“ მართალია ვერ გადაიდგეს, მაგრამ შემოგვრჩა სიმღერა ნიაზ დასასმობის ლექსზე „მე თბაღლის მოტყუალე ვარ“.

— თქვენი საყვარელი პოეტები, ვისი ლექსებიც ღამაშ მელოდებად ააქვდეთ...

— გალაკტიონი, გრიშაშვილი, ანა კალანდაძე, ნინე-შვილი, მურმან ლებანიძე, შირის ფოცნიშვილი, მიშა ქვლივიძე, მადეა კახიძე, ნიაზ დასასმძე, დოდო გვიშინი.

გალაკტიონის „თეთრი პელიკანი“ — „გადმოფრენას ეს ყორანი მადათოვზე აპირებს“, სულით ზორცაძე შემძვრელია ჩემთვის. ლექსი ავსილია ქალაქური რიტმებით, ქალაქური მოტივებით, რაც ასე იშვიათია პოეტისათვის, თუცა ლექსის ბოქმური განწყობილება სრულიად ჩვეულგრივია მისთვის.

მიყვარს ილია, აკაკი, ვაჟა, ლეონიძე, სამწუხაროდ არაფერი დამიწერია მათზე. როცა რამე მინდა შევქმნა, რაღაც იდეალური მოქმედებს ჩემზე, ამოუცნობი. გამოვითვლებდი, ვფელასგან გამორჩეულად მაინც ნინეშვილი მიზიდავს, ჩემს შემოქმედებას ეთანაწყობა. როცა ტელევიზიის მუსიკალური გაფორმების განყოფილებას ვეუბნებდი, ნუგზარ ფოფხაძის დავალებით დაწერე სიმღერა მიშა ქვლივიძის ლექსზე „ქართული მიწა“, რომელიც წლის საუკეთესო სიმღერად აღიარეს.

— თქვენს შემოქმედებაში განსაკუთრებულად იგრძნობა ქართული მიწის, საქართველოს სიყვარული.

— სწორი შენიშვნაა, მაშინაც კი, როცა ახალგაზრდა ვიყავი, სივრცეებზე წერა დროის დაკარგვად მიმაჩნდა. ღირსია რა არის, თუ არა განწყობილება? ჩემი თავი კი ამისთვის ყოველთვის არ შემატებია, გამოჩაყლისის გარდა. მხოლოდ განწყობილება დაწერილი მძღერა დოდო გვიშინის ლექსზე „გამიფრთხილი, გამიფრთხილი“.

როცა ამ ლექსს შეგვარებულები მღერიან, ასე გგონია ისინიც სამშობლოს უმღერიან-მეთქი, სამშობლო ჩემთვის ყველაფერია. ბათუმზე გაბართულ რეტროში პირველ პრემია აიღო ჩემმა სიმღერამ „ბათუმი რად ღირს მართო“, როცა ლანჩხუთის ფეხბურთელთა გუნდმა თასი მოიპოვა, შირის ფოცნიშვილის ტექსტზე — „გური“, „გური“, საქართველოს თაიგულია“ ვძღვდვნი.

— მუსიკის რომელი ფანრი გიყვარს?

— კლასიკური. მაღერის სიმფონიები, ვაგნერი, ბეთ-ჰოვენი; ჩემი დმერთები არიან ფალიაშვილი, რეზო ლა-ლიძე, სკრიაბინი, რახმანინოვი, ჩაიკოვსკი. აქვე მოვიხსენიებ ჯაზს, ნამდვილ ჯაზს.

ამერიკელები ამბობენ, ქართული ხალხური სიმღერები მსოფლიო ფოლკლორის დედაა, რაც გვიან ვიგრძენი. როცა მარი თარხნიშვილს მოუვსინე მაშინ „მო-ვიწამო“, ტანზე დამბურძღლა, ლამის გავეშმდი. განსაკუთრებით მიყვარს გარეკანური საცეკვაო, ზორუმის რიტმები, „ოლია“, „პარირა“, „ჩაქარლო“ და კახური ხალხური სიმღერები, რასაც ფაქიზი მოპვრობა სჭირდება. კომპოზიტორი მას ვერ შევება, ეს უკვე დაწერილია, თუ შეგიძლია, ახალი იმპულსი, ახალი სიცოცხლე, ახალი მარცვალი უნდა შესძინო.

...ქართული ჯარისათვის სამწყობო სიმღერა დაწერე შირის ფოცნიშვილის ლექსზე, ნიტებსაც აქვე გთავაზობთ.

ქალაქური ალბომისთვის დაწერე სიმღერები, რომლებიც გაჯერებულია თბილისური რიტმებითა და საცეკვაო ხასიათით. როცა თბილისი ინერგოდა, მაშინ დაწერე მუსიკა ლადო ასათიანის „რუსთაველის პროსპექტზე“ და მოგვიანებით ტციან ტაბიძის „ალავერდობაზე“.

გავარნი დაღუპულ თბილისელ ჯარისკაცს ლექსი უღვნა ჟურნალისტმა დოდო იორდანიშვილმა, ამაღვნი-ვა, დაწერე მუსიკა, გოგი დოლიძეს უნდა ემღერა, არ დასცალდა, ვეებთ ახალ შემსრულებელს.

— კომპოზიტორი რომ არ ყოფილიყავით, რა პროფესია იარჩევდით?

— პიანისტის. უზომოდ მიყვარს ქართული გრამატიკა, მთელი ცხოვრება მას ვუკრებიტები. ალბათ მთარგმნელი, ქართული ენის სპეციალისტი ვიქნებოდი. მიყვარს ბუნების წილში ყოფნა. ჩემი წინადაბლი თითქმის ყველა-ნი საუბრით მღეროდნენ, გონაშვლები სისხლი მთავია, თქვენ რომ გკრინათ ის არა, სხვა გონაშვილი იყო.

* * *

...სიტყვაჟუნწ კომპოზიტორს არჩილ ჩიმაკაძეს, კომპოზიტორების გუჯა ახარამუხიას და მერაბ ფარცხალაძის თანდასწრებით ასეთი რამ უთქვამს ნუნუზე: — ჩვენი, გამიჩენილი კომპოზიტორები, ოფლს ვიწურაოთ, ერთი-ორი მარცვლი ვიპოვოთ ჩვენი საკუთარი და ხალხურად ვაქციოთ, რა ბედნიერებაა, რომ ეს უნარი ასე უხვადაა მიმადლებული ნუნუს შემოქმედებაში, თავისთავადობით ეს კომპოზიტორი მაგონებს ნიკო სულხანიშვილს, დიდ მუსორგსკის, გლინკის, რომლებიც რაბუერდა ზალხორ მუსიკას უახლოვდებიან. ნუნუს სიმღერები ისეთი ძარღვიანია, მხოლოდ კაცები უნდა მღეროდნენო.

— ქნო ჩვენი, ჩვენი ეს ნომერი საიუბილეოა, რას გვი-სურვებდით?

— „საქართველოს ქალი“ საყვარელი და საჭიროა ქა-ლებიანების და არა მარტო მათთვის. გისურვებთ ისეთი შერჩაილი გეკეთებოთ, თავისი შინაარსით, აქტუალობით ყოველი ქალის სასურველი საკითხავი ყოფილიყოს! მრავალრიცხოვანი მკითხველი არ მოგკლავდით!



ამის პარანტი

ს ბრამ ბაზელი, აღდგ ანზორ ბაზაზაშვილი, მოდელიორ-დისაინერი და ფირმა FAB-ს მფლობელია. ის დღეს ქართული მოდის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურაა და მისი მოდელების ჩვენებიდან შესანიშნავად ჩანს, რომ მას მკვეთრად გამოხატული საკუთარი სტილი აქვს.

აბრამ ბაზელი თბილისელია, ძველ აბანოთუბანში დიბადა, 14 წლისამ, მამით დაობლებულმა, მუშაობა დაიწყო მეექვსე სამკერვალო ფაბრიკაში. დღე მუშაობდა, ღამე სწავლობდა. ოცი წლისამ უკვე საკუთარი პატარა ატელიე გახსნა და მთელს ქალაქში სახელი გაითქვა, როგორც მამაკაცის კოსტიუმების შეუდარებელმა ოსტატმა. თვალისზომით იღებდა ზომებს და ისე აბარებდა პატრონს, წუნს ვერ დაუღებდით.

ასე დაიწყო მისი დამოუკიდებელი მუშაობა, მოვიდა წარმატება, სახელი.

დღეს აბრამ ბაზელი საბურთალოზე, საკუთარ დიდ სახლში ცხოვრობს, ჰყავს მეუღლე, ხუთი შვილი და სამი შვილიშვილი. ერთი ვაჟი ისრაელიში სწავლობს, თელავივის სამხატვრო აკადემიაში. მან უნდა გააგრძელოს შემდეგ მამის დაწყებული საქმე.

მამა კი დიდი მოდის სამყაროში ზელოსნობიდან მოვიდა. აქვს საკუთარი სახელოსნო და ულამაზესი სადემონსტრაციო დარბაზები. მისაღებ ოთახში, მის სამუშაო მაგიდასთან ემბლემა ჰქონდა, რომელზეც ორი ქვეყნის, საქართველოსა და ისრაელის დროშებია გამოსახული. დროშებს შორის კი აბრამ ბაზელის დირმაა გამოხატული, მომავალში მოდებს ამ ეტიკეტით გამოუშვებს და ფიქრობთ, ეს სახელი ისე გაიძლიერებს საქართველოში, როგორც უცხოეთში პიერ კარდენი, პაკო რაბანი, ვალენტიინი, ჯანი ვერსაჩე და სხვები.

აბრამ ბაზელმა ამ მიმე სიტუაციაში შექმნა უამრავი მოდელი და უახლოეს მომავალში შესთავაზებს ჩვენს საზოგადოებას.

მაინც რას წარმოადგენს ბაზელის სტილი, რა კონცეფციით ზღმძღვანელობს იგი — წმინდა ქართული კლასიკური, ძველი ტრადიციებით ნაზავი.

მის სახელოსნოში გნახეთ მეტად შთამბეჭდავი კოლექცია: ქალისა და მამაკაცის კოსტიუმები, კაბები, მოსასხამები, პალტოები და მანტოები. ჯანი ვერსაჩეს მოდელები გავასენდებოდათ, ისე ბრწყინავდა ოქროსფერი, ვერცხლისფერი, ინტენსიური და ჭრელი ფერები, შემდეგ მკვეთრი და ეს ყველაფერი შეუდარებლად ნაზი და მსუბუქი.

როდის დაებადა ბაზელს კოლექციის შექმნის იდეა?

1995 წლის დეკემბერში, გრიბოედოვის სახელობის თეატრში ჩატარდა მოდელების ჩვენება. შვიდი ქართველი მოდელიორიდან თითქმის ყველამ უცხოური სტილის მოდელები გამოიტანა, მხოლოდ მერვე, ბაზელისა იყო ქართული.

ამის შემდეგ შეიქმნა ეს დიდი, მართლაც განუმეორებელი კოლექცია, ძირითადად ქართულ-ებრაულ თემაზე. ქართველი და ებრაელი ხალხის ისტორიული მშობა, მეგობრობა და სიყვარული აძლევს ხელოვნებას იმის საფუძვლს, რომ ეს ორი თემა ერთმანეთს შეუფარდოს.



აბრამ ბაზელის მართულ-გერაული ნიჭიერება



აბრამ ბაზელი ნამდვილი პროფესიონალია, უნიჭიერისი ხელოვანი და ნაღდი თბილისელი. იცის ქართული, ებრაული, სომხური, აზერბაიჯანული ენები. საიდან? იმ უბნიდან, ყველა ერთად რომ ცხოვრობდა და ამიტომ მის ნამუშევრებში აისახა ის თავისებური სტილი, მის კოლექციას რომ ამშვენებს.

აბრამ ბაზელი კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის მოდელირების კათედრის დოცენტი და საინტერესოდ აშუქებს ქართული მოდის ასპექტებს. მისი ხელმძღვანელობით სტუდენტებმა ერთი წლის პროგრამა ერთ სემესტრში გაიარეს.

რა კრიტერიუმებით არჩევს ბაზელი მანეკენებს? მას არ უყვარს ძალიან მაღალი გოგონები, 170 სმ. სიმაღლე საკმარისია, მაგრამ მოხდენილ, მიმზიდველ, ნიჭიერ და ყურადღებიან მანეკენებს აფასებს. მას საკუთარი სტუდია აქვს გახსნილი, სადაც ასწავლიან პოსტიკას, შეიპინგის ილუტებს, აერობიკას. მალე მაესტრო მოდელების უმაღლესი სკოლის დაარსებას აპირებს, მაგრამ ფინანსური სიძნელეების გამო, ბევრი ოცნება განუხორციელებელი რჩება.

ბატონი აბრამი მაინც ახერხებს გაჭირვებაში ჩაფარდნილი მეგობრების დახმარებას და არა მარტო მათი. წელს 161-ე საშუალო სკოლის მე-11 კლასის 44 მოსწავლეს უსასყიდოდ შეუქვრა საკუთარი მოდელის ფორმები, ხოლო გასულ წელს „მაკაბის“ კალონბურთის გუნდის წევრებს, რომლებიც ისრაელში ოლიმპიადაზე მიემგზავრებოდნენ, კლასიკური სტილის კოსტუმები ათუქასევე ემზადება სტუდენტურ ღვინვებში უმაღლესი სასწავლებლებს, საკუთარი კოლექციიდან პოდუქტების მოწყობაში, რაც საკმაოდ ძვირი უჯდება.

საერთოდ, რას გვთავაზობს აბრამ ბაზელი, როგორ ჩავიცვათ, თბილისელებს ხომ გემოვნებით ჩაცმა გვიყვარდა, ახლა კი ჩვენი ქალების უმეტესობა თურქულ ტანსაცმელშია გამოწყობილი. რა გქნათ, ყველამ ვიცით, დღეს საქართველოს უჭირს, უჭირს მოდასაც. რა თქმა უნდა, ამას თავისი მიზეზები აქვს — არ არის ქსოვილები, არც ფურნიტურა, არც სხვა საშუალებები და როდის უნდა ამოიწიოს მოდამ ისე, რომ ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდეს. ახალგაზრდა მოდელიორ-დიზაინერები ვერ ახერხებენ საკუთარი მოდლების შექმნას უფულობის გამო, ამიტომ ბაზელს გადაწყვეტილი აქვს გახსნას ცენტრი, მოუყაროს მათ თავი და საკუთარი ნიჭის გამოამჟღავნების საშუალება მისცეს. ეს ხომ უდიდესი სიკეთე იქნება ჩვენი ხალხისათვის.

მალე აბრამ ბაზელის მოდელები საკუთარი ეტიკეტით ჩვენი მაღაზიებს დაამშვენებს და არც ისე ძვირი ეღირება, სამაგიეროდ გემოვნებიანი და ხარისხიანი ტანსაცმლის არჩევანი გვექნება.

აბრამ ბაზელი ახალ კოლექციას ამაზღვის ქართველი და ებრაელი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის ზეიმისათვის. თბილისში ჩატარდება მოდების გრანდიოზული ჩვენება.

ამის შესახებ შემდეგ ნომერში მოგითხრობთ.

ირმა ჩოფიაშვილი



მარინე ქიტაიშვილი

სინდროსი ნიდავე შაქმალი შაქ.

შუაგულ ქართლში, ძველ ინტელიგენტურ ოჯახში
სამი ასული იზრდებოდა, სამი ნარნარი ფერია...

უფროსი და — მარმარილოსაგან ნაკვეთი ღურჯთვა-
ლა მარინე ქიტაიშვილზე ოცნებობდა, მაგრამ, ნათქვამია —
„კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო“, ბედი სულ სხვა
გზას უშუალებდა, არანაკლებ ძნელ და საპასუხისმგებლო
გზას.

შერეულ ლამაზი ბიჭიც გამოჩნდა, ან კი რა სჭირდა გა-
მოსაჩენი, განა იქვე არ იყო, გვერდით? გულისწირის
თანხმობას უცდიდა და... კიდევ ერთ ფესვმავარ, ქარ-
თულ ოჯახს ჩაეფარა საფუძველი...

...უკანასკნელ წლებში დატრიალებულმა ტრავმადი
ცულ დღეში ჩააგდო ქვეყანა, ზნე უცვალა ადამიანებს,
უკადრებელი აკადრებინა, ხელმძღვანელმა ასწავლა და

ხელგაწვდილი დგომაც, უცხოეთში „წაწალიც“ და დი-
ლიდან დაღამებამდე ბაზრობებზე ტრიალიც. საქმიანი და
პატიოსანი ადამიანები გაგვიძვირა და სანთლით საქმებარი
გაგვიცადა.

და მაინც, სიამაყით გვეხება გული, როცა ხვდები
ადამიანს დღემდე ძველებური სიჯიუტით რომ ებრძვის
გაუკუღმართებულ ცხოვრებას, ღელასავით დაფოფინებს
თავის „პირმშოს“.

ოც წელზე მეტია ქანი მარინე ქიტაიშვილი გორის სა-
კონსერვო ქარხანას ხელმძღვანელობს. სიხარულიც ბევ-
რი ახსოვს და გაჭირვებაც, დიდების ზენიტშიც ყოფილა
და წაუბრძოლებია კიდეც, კეთილი სიტყვაც უთქვამთ,
თითიც დაუქნევიათ, მაგრამ ეს ყველაფერი იყო... დღეს
კი თითქოს სხვა ქალბატონს ვესაუბრებით.



— ქანი მარინე! დღეს, ასეთი კატაკლიზმების შემდეგ,
ძვილი სახელ-ღიდეების გარდა, შერჩა კი რაიმე თქვენს
საქმარს?

— გორის საკონსერვო ქარხანა ექვსი უზარმაზარი
საამქროსაგან შედგება. იყო პეროლი, როცა ახალი სე-
ზონის დასაწყებად დრო არ გვერჩებოდა, ყოველ დღე ჩვე-
ნი ჩიხიდან 4 დატვირთული ვაგონი გადიოდა და მთელ
კავშირს ამარაგებდა. რა სახის პროდუქციას აღარ ვა-
წარმოებდით. სხვათა შორის, ბოლო წლებამდე ჩვენი სა-
წარმო ერთადერთი იყო, ტომბაქ-პროდუქტებით, ბოსტნე-
ულის კონსერვებით, წველებით, კომპოტებით და ზორცის
კონსერვებით რომ ამარაგებდა საჯარისო ნაწილებს.
დღეს ეს ყველაფერი ვიღაცამ ჩაიფიქრა ხელში და ჩვენ ამ
პროდუქციანზე სახელმწიფოსაგან დაკვეთას აღარ ვიღებთ.

ზია საჭირო. ამბობენ, ევროპეატიანების ვედიტ გრძელ
ვადიანი სესხი შემოდის სოფლის მეურნეობის აღსადგე-
ნადო და, თუ ჩაისა და ყურძენს მეხილეობასაც მათავლი-
ან, ნამდვილად გვეშველება.

— სესხის გარდა სხვა არაფერია საჭირო?

— ნორმალური მუშაობისათვის ბაზრით უნდა იყო
გარანტირებული, შემოსული პროდუქციაც უნდა აღირი-
ცხოს და დაიბეგროს, რომელიც ლამაზი ვაფორმებითა და
სიაფით ჩვენს ზარისხიან და საიმედო პროდუქტების
ძირითადი კონკურენტია. მათ ეტიკეტებზე აღნიშნული
ემულგატორები, სტაბილიზატორები და კონსერვანტები
ხომ სულ ქიმიანა და ჯანმრთელობისათვის საზიანო, იმ
დროს, როცა ჩვენ ერთადერთ კონსერვანტს — შაქარს ვი-
ყენებთ. იგივე ითქმის პოლიეთილენის ტარაზეც, რომე-
ლიც ასევე მავნეა და საზღვარგარეთის ვერც ერთ პრეს-
ტიჟულ მაღაზიაში ვერ შეხვდებით.

— ქანი მარინე! შე ვიცი, რომ თქვენ დღეისათვის ინ-
ვესტორი გაყავთ.

— გამოდის, რომ დღეს დატვირთვით ვერ მუშაობთ...

— საერთოდ გაჩერებულები ვართ. ვცდილობთ ამუშა-
ვებას, მაგრამ სერიოზული საქმიანობისათვის დიდი სეს-

— თუ მაგას ყოლა ჰქვია, კი. ჩაატარეს მარკეტინგული კვლევა; მაგრამ ამ პირობებში მუშაობა არ აწყობთ. თუ მოგება არ ნახა, ისე ვინ გაავიწროვდება.

— რა უნდა იღონოს სახელმწიფომ, ინვესტორი რომ დაინტერესოს?

— რა არის, იცით! უზნეო არ უნდა იყოს საზოგადოება. ზომ უნდა ვიცოდეთ, სად აფუჭებს კანონი ჩვენი კრწხული და სასიცოცხლო მდგომარეობას და სად — არა. პრაქტიკა გამოიჩინოსათვის იბრძვის ბევრი. ტერორისტები მართო ისინი ზომ არ არიან, პრეზიდენტს რომ ესვრიან. უფრო დიდი ტერორისტები ეკონომიკაში სხედან.

— მაინც რაში ზედათ თქვეთვის გამოსავალს?

— გამოსავალს? საბოუჯეტო ზომ გვაქვს, ჯარი ზომ გვაქვს. ჯარში 16 000 კაცია და უფრო მეტც. თითო ჯარისკაცს დღეში 200 გრამი წვენი ეკუთვნის. ჩვენი ანგარიშით, 32 ტონა გამოიღოს და თუ სახელმწიფო დაეკეთოს გავეფიქრებებს, საწარმოს წლიური ზორმა შესრულდება და გამოსავალიც ნაოტენია. ხოლო თუ ამას შემოტანაში პრობლემების დაბეჭვრაც დაემატება, ჩათვალეთ, რომ გადავჩნით, თანაც ისე, რომ ყველა მოგებულს დარჩება.

— როგორ უყურებთ უცხოური საქონლის ასე ფართო რეკლამას. თვლით თუ არა ამას ეროვნული საქმის დალატად?

— დადებითად, თუ ჩავთვლით, რომ ტექნოლოგიური ხაზში შემოვიდა და მუშახელის გარკვეული პროცენტი დასაქმდა, მაგრამ გოველივე ეს მოკლევადიანი უნდა ყოფილიყო და, როცა ეკონომიკის აღდგომისთვის შევძლებდით, ჩვენვე დაგვრჩენიდა და გამოგვეყენებინა. ინვესტორი თავისთავად ცუდი არაა, მაგრამ როცა დიდი სესხითა და ვიღაცის პროტექციით შემოდის...

— თანამდებობის პირი და ბიზნესი. როგორ ეთანხმება ეს ორი ცნება ერთმანეთს. აქვს კი თანამდებობის პირს უფლება იყოს ბიზნესმენი?

— საერთოდ ჰქვიათ ადამიანია საჭირო. თანამდებობაზე ჰქვიათ ადამიანებაც მინახავს და შემთხვევითი ხალხიც. ჰქვიათებმა შეძლეს, თავს მორეოდნენ და არსებული სტერეოტიპი, დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, ისე წარემაართათ, რომ პოტენციურად შეენარჩუნებინათ საწარმოო სიმძლავრეები. აი, შემდგომი გაქანებისათვის, პროტექციონიზმი რომ გამოვირცხოთ, ჯანსაღი ტენდენია საჭირო, სადაც ჰქვიათ ადამიანი და ჰქვიათ ბიზნეს-გეგმა გაიმარჯვებს.

— მაშ ბიზნესს ჰქვიათ და პატიოსანი ადამიანები წარმართავენ?

— რა ვიცი! მაკიაველს უთქვამს: „სასტიკად ცდება ის, ვისაც სწამს სამართლიანობის საბოლოო ტრიუმფისა. სამართლიანობა კი არ მართავს სამყაროს, არამედ გაქნისლობა, უხეში ძალა და ბრმა ბედისწერა“.

— შეუძლია თუ არა ჰქვიათ, მაგრამ უფულო ადამიანს ბიზნესის წამოწყება?

— არა. ამ შემთხვევაში ფული განაპირობებს ყველაფერს.

— ფული და ბიზნესი ერთმანეთისაგან განუყოფელია. დიდ ბიზნესს დიდი ფული სჭირდება, რაც ხელფასის მოიძლევა პატიოსანი ადამიანს არასოდეს ჰქონია. ზომ არ ასოცირდება ბიზნესი „ჭუჭყიან“ ფულთან?

— არავის განსჯავს არ ვაბირებ, მაგრამ თუ იმ წყობიდან მოსულ ადამიანს კაპიტალი აქვს დაგროვილი, იგი არაფერსაღი გზითაა მოაოვეფული. იმ საზოგადოებაში პატიოსანი შრომით დიდ ფულს ვერ დაგროვებდი.

— თვლით თუ არა თავს ბიზნესმენად?

— ხანდახან ეჭვი მეპარება ჩემს საქციელში. მეტქმის კი ჰქვიათ, როცა საწარმო გაჩერებულია და ხალხს ხელფასს ვერ ვაძლევ. მაგრამ როგორც კი სინდისის წინაშე ვდგები, ვშევიდლები — სინდისის წინაშე მართალი ვარ.

— ხელმძღვანელი ქალი და ოჯახი — ორი დიდი ცნებაა და როგორ მსხვერპლს ითხოვს, თქვენ საით გადაწოხეთ პინა?

— როცა წარმოებას ჰკიდებ ხელს, ძალაუნებურად ოჯახი მეორე ადგილზე გადადის და, თუ ვეზმარებიან, ყველაფერი რიგზეა. ძალიან მზრუნველი დედა მყავდა და ყველა პრობლემას მიგვარებდა. ახლა მეუღლე მიდგას მხარში (— ნამცხვრის ცხობის გარდა ყველაფერი) მეზერებება, — შემოგვემატა საუბარში ბატონი ამირანი.

— ხელმძღვანელი პირი მმართველობისაა მიჩვეული. ზომ არ ნაგრავეთ მეუღლეს?

— ხანდახან შემახსენებს ხოლმე, რომ სახლში ვარ.

— როგორი დიასახლისი ბრძანდებით?

— ყველაფრის გაკეთება მიევარს და თანაც ხარისხიანი, ოღონდ ყოველთვის არ გამომდის, ჭკუა-გონება სხვაგან გამიბრბის.

— შეწარმე უფრო ზშირად კაცია. ხელს ზომ არ გიშლით რაიმეში ქალური თვისებები?

— ამდენი წლის მანძილზე ვისწავლე ადამიანების ცნობა, ერთხელ დამეხვეულ შეცდომებს აღარ ვიმეორებ.

— როგორც ქალი, როგორ უყურებთ ჩვენი ქალების დღევანდელ სახეცვლილებას?

— ხანდახან გართ გახედავც არ მინდა — რასაც თვალი და ბრბოლი ჰქონდა, ყველაფერი გამოიყენეს და ჩვენი ქალები შიგ რიქმასაღი არიან შებუღნი. როცა ოჯახს გაუჭირდა — ქალმა იტვირთა სიმძიმე, ვერ იკადრა კაცმა ზოგჯერ ის, რაც ქალმა იძულებით გააკეთა.

— მომავლის იმედი თუ გაქვთ?

— ჩვენი შეილებსა და შეილიშეილების პატრონს გააქვს კი უფლება მომავლის არ გვეწამდეს?

ესაუბრა მანანა იმანაშვილი

სუკუნე ზიდა მსკუთხრით



ა ისის მიწურულს გალაკტიონ ტაბაიძის ქუჩის 12 ნომერში ოჯახის უახლოესი ნათესავები შევირბნენ. საბაბი ამ კედელუფრის თავქალის იუბილე გახლდათ. ქალბატონმა ნინა ქუთათელაძე-კოპალმა ასი წელი ზეგზავური ცხოვრებით, ბედნიერებითა და წუხილით მითითა. ღირსსახსოვარ დღეს იუბილარი საფარემოში იჯდა და კეთილი ღიმილი ხანდაზმულ სახეს სივს ჰყვანდა, ამშვენებდა. შეილიშვილი ვია შარვაშიძე საზეიში მავიდას უძღვებოდა. პირველი სადღეგრძელო მისიშვილმა, ცნობილმა რეჟისორმა ანზორ ქუთათელაძემ წარმოთქვა.

სახიერი მოცინებებით იფურცლებოდა წარსული...

ნინა ქუთათელაძე ბათუმში სწავლობდა. სილამაზით განთქმულ ქალიშვილს „წმინდა ნინოს“ ეძახდნენ, დღესასწაულებზე მხარზე თმარამოშვებულს ეტლით დაატარებდნენ. ითბი ძმა მომხილავი დით ამყოფოდა.

დავით კოპალეიშვილი (კოპალი) სორბონის უნივერსიტეტდამთავრებული საფარაველიდან შემოკლებულ გვარით საქართველოში დაბრუნდა. დავით კოპალმა ბათუმში „ახეფტში“ იწყო საქმიანობა. მან, როგორც ნიჭიერმა იურისტ-კონსულტანტმა, დიდად გაითქვა სახელი. იგი ჩინებულად ფლობდა ინგლისურ, ფრანგულ ენებს, წერდა ლექსებს, მოთხრობებს. მწერალი და საზოგადო მოღვაწე მწერალთა კავშირის ერთ-ერთი დამაარსებელი გახლდათ.

დავითი მოიხიბლა ნინას უნატიფესი სიმშვენიერით და დაქორწინდნენ. შეუღლებას ბედნიერება არ მოჰყოლია. ორი თვის შემდეგ დავით კოპალი დააატმირეს. არ მოეწონათ ახალგაზრდის პატრიოტული აზროვნება, საქართველოს დამოუკიდებლობას რას ქადაგებო. ლექსში „საქართველოს“ დავითი წერდა: „მმანო, გმონო, ზომ არ გმინავო? თუ არ გმინავო, რად არ სწირავო თქვენს სიცოცხლეს სასახელოს, გმით სამშობლო საქართველოს“.

16 წლის მანძილზე იგი რვაჯერ იყო პატიმარი. 1937 წელს დაიჭირეს და დახვრიტეს.

ოჯახში იდგა წუხილი და მოუსვენრობა.

ქალბატონ ნინას ცხოვრება მეტყვნის ციხის კარებთან გამდმებული ღოფით იფარგლებოდა, მაგრამ სულით არ ეცემოდა. ზრდიდა ორ შვილს – ივერსა და ნელის. ივერს მამის ზეგარი ზედა წილად. იგი რკპრესიის მსხვერპლი გახდა. ნელიმ – რესპუბლიკის დამსახურებულმა პედაგოგმა, დირსეული შვილები აღზარდა – ექიმი კარდიოლოგი ბუდა და ფილოლოგი, ამჟამად განათლების მინისტრის პირველი მოადგილე ვია შარვაშიძე. ნელის მეუღლე ვლადიმერ შარვაშიძე პროფესორი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პირველი იქთიოლოგია საქართველოში.

მრავალჭირამოვლილ პირმშვენიერ, პროფესიით რუსული ენის პედაგოგს, დღესაც შერჩენია ინტელიგენტური მანერები, ნათელი გონება, ძველი ზიადი და დახვეწილობა, მოკრძალება რომ გეუფლება მასთან მოსაუბრეს.

მართლაც და ბედნიერია ოჯახი, რომელსაც მესიტორიელ უკავი ერთი საუკუნეგადაბეგებული ქალბატონი ნინა ქუთათელაძე-კოპალი ჰყავს. დღეგრძელობა არ მოჰყოლივდეთ საუკუნით მხრებდამშვენებულსა და მის მონაგარით.





ყველას ბეზიან



ისიც ზურიკლას ბებიასავე გურული ოღლია. ოღონდ ოღლას ერთადერთი შვილის — მამია დარჩიას მეტი არაა ვინ ეძახის. ის ოღლია, მთელი ეზოს საყვარელი ოღი ბები. უფროსმა შვილიშვილმა შეარქვა ეს სახელი და მას შემდეგ ყველა ასე ეძახის.

ოღია კვირიალა 1909 წლის 31 დეკემბერს დაიბადა ოზურგეთში. 16 წლისა გათხოვდა თბილისელ დომენტი დარჩიანზე. ახლა ბევრს ნანოს ერთი შვილის მეტი რომ არ გააჩნია, მაგრამ აწი, რაღას უნახაო, — ჩაიწივებს ხოლმე ზღაპრებს. განსაკუთრებით მთხოვა: „საქართველოს ქალის“ მკითხველებს ჩემი სახელით ურჩიე, ერთ შვილზე ნუ გაჩერდებიან, ერთი შვილი ქვეყანას გააღარიბებს, სამი და ოთხი აყვავებსო.

